ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 50 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად შექმნა სპეციალური ვებ-გვერდი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 50 წლის საიუბილეო თარიღი სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნა მიმდინარე წლის განმავლობაში, მათ შორისაა მოვლენების გასაშუქებლად შექმნილი სპეციალური ვებ-გვერდის ამოქმედება, რომელიც პერიოდულად განახლდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

ვებ-გვერდი ამოქმედდა 2009 წლის 20 აპრილს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინაუგურაციიდან ზუსტად 50 წლისა და ევროპის საბჭოს მეათე საიუბილეო წლის თავზე.

ვებ გვერდი http://www.echr.coe.int/50/en გააშუქებს საიუბილეო წელთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას. ასევე, ისტორიული თუ სხვა მნიშვნელობის მქონე სხადასხვა დოკუმენტებს.

ინტერაქტიული რუქის მეშვეობით შესაძლებელი იქნება წევრი სახემწიფოების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოძიება. კერძოდ: კონკრეტული ქვეყნის მიერ კონვენციის რატიფიკაციის თარიღი, სახელმწიფოს წარმომადგენელი მოქმედი მოსამართლე, მითითებული ქვეყნის წინააღმდეგ განხილული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქმე და ქვეყნის წინააღმდეგ განხილული საქმეების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები.

ვებ გვერდის მეშვეობით შესაძლებელია სასამართლოს ვირტუალი დათვალიერებაც, ვებ გვერდის მულტიმედიურ ნაწილს დაემატება ცალკე განყოფილებები ვიდეო ფაილებისა და სურათებისათვის.

მოხდება ისტორიული დოკუმენტების ორიგინალური ვერსის სკანირება და განთავსდება ვებ გვერდზე. სახელდობრ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული პირველი საქმე (ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ). ცალკეული დოკუმენტები, როგორიცაა 1958 წელს გამოცემული "რეკომენდაციები სასამართლოს დაარსებისათვის". ასევე განთავსდება სხვა დოკუმეტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით გახდა საჯარო.

საიტზე მიმოხილული იქნება 50 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებისა და მოვნელების შესახებ არსებული ინფორმაცია.

ვებ-გვერდის ვიზუალურ ეფექტს აძლიერებს, სპეცილალური ლოგო, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სასამართლოს შენობას და რომლის ქვედა ნაწილშიც მოცემული მინიშნება იმის თაობაზე, რომ სასამართლო წარმატებულად მუშაობს უკვე 50 წლის განმავლობაში. ასევე ის, რომ როგორც დაწესებულება წლების მანძილზე იმსახურებდა პატივისცემას – წარსულის სიძლიერეზე დარყდნობით იგი ამჟამადაც განაგრძობს წარმატების გზაზე აღმასვლას.

სასამართლო წარმოდგენილია გამჭვირვალე ხედით – სიმბოლურობით აღსავსე შუშებიანი შენობით, რომელიც თავისი ფორმით ემსგავსება თემიდას სასწორს. ცენტრალური ჰოლი ორ ცილინდრის ფორმის სასამართლო დარბაზებს შორის პარალელურად არის განთავსებული.

http://www.echr.coe.int/50/en